

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01
--------------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2020-2023 წლები
--	-----------------

პროგრამის მიზანი:

სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და ანვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტი ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების, თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით:

- ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები).
- დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, რასაც ადასტურებს „სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრის“ მიერ 2013 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევების მონაცემები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღ გასართობთა მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა).

აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდთა თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;
- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“;
- ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი;
- ბათუმი - სპორტის ქალაქი.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 645 609	493 100	316 624	379 948	455 937

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	1 699 994	299 994	400 000	500 000	500 000
ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	252 000	56 000	60 000	61 000	75 000
სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	20 443 299	4 171 062	4 916 109	5 407 719	5 948 409
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	1 447 500	373 200	358 100	358 100	358 100
ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	785 000	155 000	210 000	210 000	210 000
ბათუმი - სპორტის ქალაქი	414 000	60 000	84 000	120 000	150 000
სულ პროგრამა	26 627 402	5 548 356	6 344 833	7 036 767	7 697 446

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი	
	2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი					
	სამოყვარულო სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა	1600	1650	1700	1800	1850	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა რაოდენობა	4550	4600	4650	4800	5000	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიწოდება	მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში მოღვაწე ადგილობრივი სპორტსმენების %-ლი წილი	67%	70%	72%	75%	75%	%	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი

<p>მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა</p>	3	3	5	7	7	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>მონიტორინგი</p>
<p>პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი სპორტსმენების მიღწევების რაოდენობა საერთაშორისო სპორტულ აქტივობებში</p>	10	11	12	14	15	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	493 100
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	493 100

ქვეპროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, სპორტის განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღის წესის დამკვიდრების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მასობრივი სპორტი აერთიანებს ყველა პირს, რომელიც დაკავებულია ნებისმიერი სპორტული/ფიზიკური აქტივობის ორგანიზებული ან არაორგანიზებული ფორმით, განურჩევლად რასისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური მდგომარეობისა, რელიგიური მრწამსისა და ფიზიკური შესაძლებლობისა. მასობრივი სპორტის განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის ფიზიკურ გაჯანსაღებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაციას. მასობრივი სპორტი პირდაპირ კავშირშია და წარმოადგენს საფუძველს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისა; გარდა ამისა, მასობრივი სპორტის განვითარება შედეგს მრავალი მიმართულებით იძლევა, მათ შორის:

- დანაშაულის პრევენცია, ბავშვებისა და ახალგაზრდების ენერჯის და აგრესიულობის მოქცევა ჯანსაღი სპორტული შეჯიბრების კალაპოტში. თავისუფალი დროის ორგანიზებული ხარჯვა;
- დაავადებათა პრევენცია, ფიზიკური აქტიურობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით, მასობრივ სპორტში აქტიური ჩართულობით დაავადებათა პრევენციისა და მოსახლეობის გაჯანსაღების საფუძველების შექმნა. მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება ჩვენ ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით იძლევა პროგრესს და ზრდის სპორტით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობას.

ქვეპროგრამის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც არ არიან ჩართული მაღალი მიღწევების სპორტულ კლუბებში, ასევე სტუდენტები და შშმ პირები. აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება რეგულარულად და შესაბამისი სპორტული სახეობის ფედერაციების ჩართულობით, რაც განაპირობებს ღონისძიებათა ხარისხს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. ეზოს ფეხბურთი - ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში ჩამოყალიბდება 10 საფეხბურთო გუნდი მოზარდ ჯაბუკთა შორის და 2 საფეხბურთო გუნდი მოზარდ გოგონათა შორის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 2005-2010 წლებში დაბადებული მოზარდები, გუნდებთან იმუშავებს მწვრთნელები, კვირამი ჩატარდება მინიმუმ სამი აქტივობა შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ მინი-მოედნებზე; პროექტის ფარგლებში ჩატარდება საგაზაფხულო - სამემოდგომო ლიგა მინი-ფეხბურთში და საზაფხულო ლიგა ქვიშის ფეხბურთში; გამოვლინდება, როგორც შეჯიბრის, ასევე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებები, რომლებიც დაჯილდოვდებიან თასებითა და მედლებით, ასევე გაემგზავრებიან ექსკურსიაზე. ტურნირი ჩატარდება ადმინისტრაციული უბნების ტერიტორიაზე. ღონისძიება პოპულარიზაციას უწყევს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

<p>2. სპორტული ფესტივალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში - დედა, მამა და მე - სპორტული ოჯახი - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ბათუმის ტერიტორიაზე არსებული კერძო და საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელები; დაწესებულებების ბაზაზე მოხდება გუნდების რეგისტრაცია, გუნდის შემადგენლობა - ბავშვი, დედა და მამა; რეგისტრირებული გუნდები ოლიმპიური სისტემით შეეჯიბრებიან ერთმანეთს მხიარულ თამაშებში - რომელიც ჩატარდება ბათუმის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, ფინალური შეხვედრა გაიმართება 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღეს; ღონისძიების წესებით შეეჯიბრებიან 3 ეტაპად - პირველი ეტაპი, დედების გუნდის შეჯიბრი, მეორე ეტაპი მამების გუნდის შეჯიბრი და მესამე ეტაპი ბავშვთა გუნდის შეჯიბრი; გამარჯვებულია გუნდი, რომელიც საერთო ჯამში მეტ ქულას მოაგროვებს; საპრიზო ადგილების მიხედვით გამოვლინდება ასევე გამარჯვებული ბავშვი; ღონისძიება ჩატარდება როგორც ბიჭების, ასევე გოგონების კატეგორიაში; გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სხვადასხვა პრიზებით, ხოლო გამარჯვებული ოჯახები (ბიჭებში და გოგონებში) გაემგზავრება პარიზის დისნიელენდში; ღონისძიების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ადრეული ასაკიდან, მასობრივი სპორტის განვითარება, გუნდურობის პრინციპის დანერგვა, ოჯახის როლის ზრდა მოზარდის ფორმირებაში.</p>
<p>3. სასკოლო სპორტის ფესტივალი - სპორტულ ღონისძიება მონაწილეობას მიიღებს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული კერძო და საჯარო სკოლების ნაკრები გუნდები. თამაშები ჩატარდება სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, მძლეოსნობა და მხიარული თამაშები, როგორც ვაჟებში ისე, გოგონებში;</p> <p>პირველი ეტაპი განხორციელდება გუნდების რეგისტრაცია, რის შემდეგაც შეიქმნება კონკრეტული სახეობების კალენდარი და სამოქმედო გეგმა, განხორციელდება სპორტის პედაგოგების სტიმულირება ფასიანი ვაუჩერებით მათი აქტიური ჩართვა, რაც გზავს გუნდების, მონაწილეების და შესაბამისად აქტივობების რაოდენობას;</p> <p>მეორე ეტაპის განხორციელება დაიწყება აპრილის თვეში და შეეჯიბრებიან უშუალოდ ჩატარდება - ფეხბურთში, კალათბურთში და მხიარულ თამაშებში, მესამე ეტაპი დაიწყება ოქტომბრის თვეში და ჩატარდება შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ბადმინტონში, ხელბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში;</p> <p>ჯამში ჩატარდება 500 მეტი აქტივობა, სადაც ჩართული იქნება 2000-მდე მოზარდი როგორც ვაჟები ასევე გოგონები; გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ სასკოლო ოლიმპიადში.</p> <p>ღონისძიების მიზანია ბავშვების აქტიური ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. პრიზიორების გამოვლენა და მათი სტიმულირება, შესაბამისი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სასკოლო სპორტის გააქტიურება, აქტივობების უმეტესობა დაიგეგმება შესაბამის ღია მოედნებზე, სადაც ხელშეწყობილი იქნება გულშემატკივართა მაქსიმალური მობილიზაცია;</p>
<p>4. საუნივერსიტეტო სპორტის ფესტივალი - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდები. თამაშები ჩატარდება სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, პირველი ეტაპი განხორციელდება გუნდების რეგისტრაცია, რის შემდეგაც შეიქმნება კონკრეტული სახეობების კალენდარი და სამოქმედო გეგმა, მეორე ეტაპის განხორციელება დაიწყება მარტის თვეში და ჩატარდება უშუალოდ შეჯიბრებები - ჯამში ჩატარდება 50 მეტი აქტივობა, რომელშიც ჩართული იქნება 150-ზე მეტი სტუდენტი; გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან სხვადასხვა პრიზებით.</p> <p>ღონისძიების მიზანია სტუდენტების სპორტული ცხოვრებით დაკავება და ჯანსაღი ცხოვრების წესი პოპულარიზაცია, პრიზიორების გამოვლენა და მათი სტიმულირება, შესაბამისი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და საუნივერსიტეტო სპორტის გააქტიურება;</p>
<p>5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის ფესტივალი - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს 100-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, ღონისძიება ჩატარდება ერთ ეტაპად. ღონისძიება ითვალისწინებს შეჯიბრს ამპუტანტთა ფეხბურთში, სმენა-დაქვეითებულთა ფეხბურთში. მოეწყობა ტურნირები შაშში, ნარდში, დარტსა და მკლავჭიდიში. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით, სიგელებით, მედლებით და ფასიანი ვაუჩერებით.</p>
<p>6. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს აუტიზმის მქონე 40-მდე ბავშვი. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება აქტივობები კვირაში ორჯერ, მოზარდებთან იმუშავებს 2 მწვრთნელი, თერაპევტი და ფსიქოლოგი; ჩატარდება საჩვენებელი ფესტივალი. ფესტივალის მონაწილე მოზარდებს გადაეცემა წამახალისებელი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა.</p>
<p>7. ფულტალი და საპლაჟო ფეხბურთი - ქალაქის ბათუმის მასშტაბით ჩამოყალიბდება 10 ფულტალისა და საპლაჟო ფეხბურთის გუნდი მოზარდ ჭაბუკთა შორის და 2 გუნდი მოზარდ გოგონათა შორის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 2003-2010 წლებში დაბადებული მოზარდები, გუნდებთან იმუშავებს მწვრთნელები, კვირაში ჩატარდება მინიმუმ სამი აქტივობა შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ მინი-მოედნებზე; აღნიშნული მოზარდებიდან დაკომპლექტდება ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ადგილობრივ მასობრივი სპორტის ფესტივალებში.</p>
<p>პროდუქტები</p>

დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ეზოს ფეხბურთი				91 440
ხელფასი	თვე	12	4 900	58 800
ინვენტარი	გუნდი	12	625	7 500
ტურნირის ორგანიზება	ტურნირი	3	700	2 100
საპრიზო ფონდი	ტურნირი	3	3 800	11 400
ეკვიპირება	ცალი	12	200	2 400
ეზოს ნაკრები გუნდის გამგზავება გერმანიაში (ავიაბილეთები)	ცალი	11	840	9 240
სპორტული ფესტივალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში - „დედა, მამა და მე - სპორტული ოჯახი“	ფესტივალი	1	40 000	40 000
ფესტივალის ორგანიზება	დღე	7	1 300	9 100
საპრიზო ფონდი	პრიზები	48	644	30 900
სასკოლო სპორტის ფესტივალი		8	7 356	58 850
ფესტივალის ორგანიზება	სპორტის სახეობა	8	4 687	37 496
საპრიზო ფონდი	სპორტის სახეობა	8	2 669	21 354
საუნივერსიტეტო სპორტის ფესტივალი		3	5 000	15 000
ფესტივალის ორგანიზება	სპორტის სახეობა	3	2 000	6 000
საპრიზო ფონდი	სპორტის სახეობა	3	3 000	9 000
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტის ფესტივალი		2	8 000	16 000
ფესტივალის ორგანიზება	დღე	2	3 715	7 430
საპრიზო ფონდი	პრიზი	50	171	8 570
აუტიზმის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა		12	2 184	26 210
სახელფასო ფონდი	თვე	12	1 625	19 500
ტურნირის ორგანიზება	დღე	2	380	760
ინვენტარი	ცალი	10	55	550
საპრიზო ფონდი		25	104	2 600
ეკვიპირება	ცალი	35	80	2 800
ფუტსალი და საპლაჟო ფეხბურთი				245 300
შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურება	თვე	12	6 275	75 300
სპორტული ინვენტარი და ეკვიპირება	ცალი	25	1 200	30 000
მასობრივი სპორტული ფესტივალი ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთში	ლონისძიება	4	35 000	140 000
ტენდერის საფასური				300
სულ ქვეპროგრამა				493 100

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
დასახელება				
ეზოს ფეხბურთი	X	X	X	X
სპორტული ფესტივალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში - „დედა, მამა და მე - სპორტული ოჯახი“		X		
სასკოლო სპორტის ფესტივალი	X	X		
საუნივერსიტეტო სპორტის ფესტივალი				X
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტის ფესტივალი	X	X	X	X
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტის ფესტივალი		X		X
აუტიზმის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა			X	
ფუტსალი და საპლაჟო ფეხბურთი	X	X	X	X
ტენდერის საფასური	X	X		

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა
მხარდაჭერილი და განხორციელებულია ინიცირებული პროექტები

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით დასაფინანსებელ პროექტთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 10 პროექტის დაფინანსების შემდეგ, ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 10 პროექტზე მეტის დაფინანსება.
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა	ჩატარებული სპორტული აქტივობების რაოდენობა (არანაკლებ)	600	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა (არანაკლებ)	2000	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	სამოყვარულო გუნდების (ეზოს, საუზნო, სამოყვარულო) რაოდენობა	66	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა (არანაკლებ)	100	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 01 02

ქვეპროგრამის დასახელება:

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	299 994
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	299 994

ქვეპროგრამის მიზანი:

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სახის სპორტული ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვასა და ტურიზმის განვითარებას. ამავდროულად ქალაქში გააქტიურდება სპორტული ცხოვრება, განვითარდება სპორტის სხვადასხვა სახეობა.

ბათუმი სპორტული ტრადიციებითაა მდიდარი და ქალაქს უმაღლესი დონის შეჯიბრებების მიღების ბრწყინვალე გამოცდილება აქვს: განვლილ წლებში ბათუმში გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში, მშვილდოსნობაში ევროპის თასის ფინალური ეტაპი ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობა ქვიშაზე, ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი ქვიშის ხელბურთში. ქალაქში ყოველწიურად ტარდება მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით სხვადასხვა სპორტული ტურნირები.

2018 წელს ბათუმში საჭადრაკო სამყაროში უმნიშვნელოვანესი და ყველაზე მასშტაბური ღონისძიება - საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდა, რომელშიც FIDE-ს წევრი 189 ქვეყნის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა ითამაშა და მასში 4000-მდე მოჭადრაკემ და სხვა ოფიციალურმა პირმა მიიღო მონაწილეობა. 2019 წელს ბათუმში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში.

ACES Europe-მა (ევროპის დედაქალაქებისა და ქალაქების სპორტის ფედერაციამ) ბათუმს 2019 წლის ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი მიანიჭა. მიღებული სტატუსი ადასტურებს, რომ ბათუმი ეტაპობრივად ყალიბდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტული ცენტრი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ზრუნავს რათა გაზარდოს ბათუმის, როგორც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობა და როლი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის, როგორც ქალაქის ერთ - ერთი მაპროფილელები მიმართულების განვითარებას.

ქვეპროგრამის ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 სექტემბრის N1124 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შერჩეული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერას. ქვეპროგრამა ხელს უწყობს ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, ქალაქში სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მხარს დაუჭერს შემდეგ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს:

1. „ნოდარ ხაჯიშვილის სახელობის, ქალაქ ბათუმის საერთაშორისო სემინარისა და ჩემპიონატის ღია ტურნირი შოტოკან კარატე-დოში“ -

ტურნირის ფარგლებში ჩატარდება საერთაშორისო საწვრთნო სემინარები შოტოკან კარატე-დოში, ასევე, ჩატარდება შეჯიბრებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში - ინდივიდუალურ კატასა და კუმიტეში.

2. „თემურ ზაქარაძის სახელობის ტურნირი ფრენბურთში ბათუმის თასზე“ -

ტურნირის ფარგლებში ქვიშის ფრენბურთის მოედანზე, ფრენბურთის 6 კაციან გუნდებს შორის (სულ 12 გუნდი) გაიმართება 28 თამაში (მათ შორის ვეტერანებს შორის), მონაწილეები გაეცნობიან რეგიონის ღირსშესანიშნაობებს.

3. „3*3-ზე (Street-ball) კალათბურთში საერთაშორისო ტურნირი ქ. ბათუმის მერიის თასზე“ -

ტურნირის ფარგლებში ბათუმის ზღვისპირა პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩატარდება საერთაშორისო სპორტული ღონისძიება 3*3-ზე (street-ball) კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 5 ქვეყნის 30-ზე მეტი წარმომადგენელი.

4. „დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ზერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის“ -

საერთაშორისო ღონისძიება ჩატარდება უმაღლესი კატეგორიის „ასაკობრივ ჯგუფში“. ტურნირი ჩასმულია ჭიდაობის მსოფლიო კალენდარში. ტურნირის ფარგლებში მსოფლიოს 13 ქვეყნის ლიცენზირებული ფალანგები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. გაიმართება 30 აქტივობა, 10 წონით კატეგორიაში. ღონისძიების ფარგლებში, ტურნირის გარდა, უცხოელი სპეციალისტები ჩაატარებენ სემინარსაც, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მსაჯებისა და მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებას და საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაგეგმილ ახალ საშეჯიბრო სისტემის გაცნობას

5. „რუსუდან სიხარულიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში“ -

ტურნირი მე-7 ჯერ გაიმართება, ტურნირის ფარგლებში შეჯიბრი ჩატარდება ორ ასაკობრივ კატეგორიაში - სენიორებსა და იუნიორებში, სულ 10 ქვეყნის 12 გუნდის წარმომადგენლები. გაიმართება ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ტურნირის მსაჯობას გასწევენ FIG - ისა და ეროვნული კატეგორიის მსაჯები. მოეწყობა გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

6. „ადმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის ჩემპიონატი (EEVZA)“ -

საპლაჯო ფრენბურთში ადმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატი არის A კლასის შესარჩევი ტურნირი, სადაც დაგროვებული ქულები მოქმედებს მსოფლიო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად. ტურნირი ჩატარდება ევროპის ფრენბურთის ფედერაციის წესებით. ჩატარდება საკვალიფიკაციო მატჩები, როგორც ქალებში ასევე მამაკაცებში, ძირითადი ბადე და ნახევარფინალური და ფინალური მატჩები (კაცები, ქალები). ტურნირის დასრულების შემდეგ მოეწყობა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

7. „საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში პრეზიდენტის თასზე ახალგაზრდებს შორის“ - ტურნირის ფარგლებში იპაექრებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტიტულოვანი სპორტსმენები. ტურნირის ფარგლებში მოეწყობა სანახაობრივ-გასართობი სივრცე, ამდღედ მწვრთნელებისა და ინსტრუქტორების კვალიფიკაცია. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება, რომელშიც საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციის მიერ ლიცენზირებული ფალანგები მიიღებენ მონაწილეობას. შეჯიბრებები მოეწყობა 10 წონით კატეგორიაში.

8. „მსოფლიოს ფესტივალი ქართულ ჭიდაობაში“ -

ქართული ჭიდაობის მსოფლიო ფესტივალი ითვალისწინებს 27 ქვეყნის 120 -დე სპორტსმენისა და წარმომადგენლის მოწვევას ქ. ბათუმში, ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ 16-დან 18-წლამდე და დიდი ასაკის ქალები და ვაჟები. დაგეგმილია ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალის ჩატარება. სულ ჩატარდება 144 საშეჯიბრო აქტივობა.

9. „ბათუმის უშუს ღია საერთაშორისო ტურნირი“ -

ტურნირის ფარგლებში მოწვეული საერთაშორისო მსაჯები ჩაატარებენ წინასაშეჯიბრო სამსაჯო სემინარებს. შეჯიბრებები ჩატარდება 4 დღის განმავლობაში. სექტემბრის დასაწყისში ტურნირი ოფიციალურად გაიხსნება, შეჯიბრი ჩატარდება ორი მიმართულებით: საჩვენებელი ტაოლები (2 ხალიჩა) და კონტაქტური ორთაბრძოლა სანდა (1 - ლეიტაი-რინგი). ყოველი საშეჯიბრო დღის დასრულების შემდეგ ჩატარდება გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოება.

10. „საერთაშორისო ტურნირი „ოუფენ ბათუმი“ -

ტურნირი ჩატარდება „ბ“ და „ა“ კატეგორიებში ინდივიდუალური კუმიტეს, კატას და გუნდური კუმიტეს წესებით. მონაწილეობას მიიღებენ 6-7, 8-9, 10-11, 12-13, 14-15 და 16-17 წლის ახალგაზრდები. ასევე შიჯიბრი ჩატარდება 18-დან 34 წლამდე ასაკის და ვეტერან სპორტსმენთა შორის 5 წონით კატეგორიაში. ტურნირში იასპარეზებენ ვეტერანები სპორტსმენებიც.

11. „ბათუმი ოუფენ - 2020“ -

ტურნირის ფარგლებში მოეწეობა გახსნისა და დახურვის ცერემონიალები, გაიმართება 42 აქტივობა, მათ შორის სემინარები, მასტერ-კლასები. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ყველა კლასისა და კატეგორიის სპორტსმენები. 2020 წელს, პირველად კავკასიაში, ტურნირზე იგეგმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოცვეკვავების გამოსვლაც.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
„ნოდარ ხაჯიშვილის სახელობის, ქალაქ ბათუმის საერთაშორისო სემინარისა და ჩემპიონატის ღია ტურნირი შოტოკან კარატე-დოში“	ტურნირი	1	30 000	30 000
„თემურ ზაქარაძის სახელობის ტურნირი ფრენბურთში ბათუმის თასზე“	ტურნირი	1	9 998	9 998
„3*3-ზე (Street-ball) კალათბურთში საერთაშორისო ტურნირი ქ. ბათუმის მერიის თასზე“	ტურნირი	1	20 000	20 000
„დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის“	ტურნირი	1	89 996	89 996
„რუსუდან სიხარულიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში“	ტურნირი	1	30 000	30 000
„ადმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის ჩემპიონატი (EEVZA)“	ჩემპიონატი	1	20 000	20 000
„საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში პრეზიდენტის თასზე ახალგაზრდებს შორის“	ტურნირი	1	5 000	5 000
„მსოფლიოს ფესტივალი ქართულ ჭიდაობაში“	ფესტივალი	1	25 000	25 000
„ბათუმის უშუს ღია საერთაშორისო ტურნირი“	ტურნირი	1	20 000	20 000
„საერთაშორისო ტურნირი „ოუფენ ბათუმი“	ტურნირი	1	30 000	30 000
„ბათუმი ოუფენ - 2020“	ტურნირი	1	20 000	20 000
სულ ქვეპროგრამა				299 994

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
„ნოდარ ხაჯიშვილის სახელობის, ქალაქ ბათუმის საერთაშორისო სემინარისა და ჩემპიონატის ღია ტურნირი შოტოკან კარატე-დოში“		x		
„თემურ ზაქარაძის სახელობის ტურნირი ფრენბურთში ბათუმის თასზე“		x	x	
„3*3-ზე (Street-ball) კალათბურთში საერთაშორისო ტურნირი ქ. ბათუმის მერიის თასზე“		x	x	

„დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის“	x	x		
„რუსუდან სიხარულიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში“		x	x	
„აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის ჩემპიონატი (EEVZA)“			x	
„საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში პრეზიდენტის თასზე ახალგაზრდებს შორის“	x	x		
„მსოფლიოს ფესტივალი ქართულ ჭიდაობაში“				x
„ბათუმის უშუს ღია საერთაშორისო ტურნირი“			x	
„საერთაშორისო ტურნირი „ოუფენ ბათუმი“		x	x	
„ბათუმი ოუფენ - 2020“		x	x	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

მხარდაჭერილია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მხარდაჭერილია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	ჩატარებული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	11	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ღონისძიებებში მონაწილე უცხოელი სპორტსმენების რაოდენობა (არანაკლებ)	1000	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ღონისძიებებში მონაწილე ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობა (არანაკლებ)	1000	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 03
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	56 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	56 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ოსტატობის ამაღლების ხელშეწყობა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მათი სხვადასხვა, საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება. ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პროფესიულ ზრდას, გამოცდილების გაღრმავებას, ქართული სპორტის სხვადასხვა სახეობების საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენას, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის საზღვრებს გარეთ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის კონტაქტების დამყარებას, სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაფასებასა და სტიმულირებას. მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერონალის კვალიფიკაციის ამაღლებას სპორტის მიმართულებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები;

1. ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა -

ღონისძიების ფარგლებში, სხვადასხვა მაღალი დონის ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, ფინანსურ დახმარებას მიიღებენ წარმატებული ბათუმელი სპორტსმენები და მწვრთნელები. კონკურსანტთა შერჩევა განხორციელდება დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული პირი მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით, არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა, რომელიც ითვალისწინებს: ტურნირში მონაწილეობისა და სპორტული ეკიპირების საფასურს, სასტუმრო, მგზავრობის, ვიზისა და დაზღვევის ხარჯებს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) რეკომენდაცია საქართველოს ეროვნული ფედერაციიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფედერაციიდან;

ე) ინფორმაცია სპორტსმენის არსებული რეიტინგის შესახებ;

ვ) ოფიციალური მიწვევის ან/და ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

